

140  
1948/2

ଓଡ଼ିଆରେ  
ଶାଶ୍ଵତପତ୍ର



ବିଜୟ ବନ୍ଦମୁଖ

№ 11

1948



# ქითბერი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ურალთვისა საბაზო გუნდის

№ 11 ნოემბერი 1948

გამოშცემლისა

„კომუნისტი“

წელი 71 გვ. XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии  
(на грузинском языке)

## ჩვენ გნახეთ სტალინი

1948 წლის 31 იანვარს საკავშირო მხატვრული და ოპა-  
ლიერების მონაწილე საფამიკო-საქართველოს სკოლების  
მოსწავლეები გამოვიდნენ საბჭოების სესიაზე, სადაც  
უესრულეს ქართული სიმღერები და ცეკვები. სესიაზე  
მოსწავლეებმა, ნახეს დიდი სტალინი.

კრემლში ვმღეროდით ჩვენ აღმაფრენით,  
ფრთაშესხმულები განცდით ვღელავდით,  
თითქო ვდნებოდით ტკბილ მოლოდინში —  
დიდი სტალინის გამოჩენამდი.

რას მოვესწარით! ჩვენ გვიღიმოდა,  
ჩვენ გვიცქეროდა ბრძენი ბელადი.

რა დაგვავიწყებს ბედნიერ წუთებს,  
ტაშის ქარიშხალს და ვაშას ძახილს;  
რა დაგვავიწყებს... ო, თვალწინ გვედგა  
ჩაფიქრებული მომლიმარ სახით,  
მუდამ გვეყოფა ის სიხარული,  
რაც განვიცადეთ ბელადის ნახვით.

რას მოვესწარით! ო, თვალწინ გვედგა  
დიდი გენია სახელმარადი,  
გვიცქერდა დინჯად, ვიღიმებოდით  
და აღტაცებას ვეღარ ვფარავდით.  
როს დავიშალეთ, მისმა თვალებმა  
გამოგვაცილა კრემლის კარამდი.


...დღეს რომ აქა ვართ, საქართველოში,  
ჩვენს ტკბილ სიმღერებს კვლავ ისმენს ხალხი;  
ვაჟკაცურ შრომით გვინდა ავაგოთ  
ჩვენ კომუნიზმის დიადი სახლი.  
კვლავ თვალწინ გვიდგას და გვაფრთოვანებს  
დიდი გენია მომლიმარ სახით.



0757

„1863-ის“ გადაენ

სურ. ხ. დუდნიკიძე



# მარტინ შოთა რეზნიანი

მერან ლეგანიძე!

დაინახე, დაინახე,  
 ჩარი როგორ არხევს  
 გამარჯვებულ ბაირალებს —  
 ჭითელ ბაირალებს.  
 დაინახე, შემირია  
 ცისფრის ოქროსფრი...  
 მოვდანე მოაბიჯებს  
 მზე და ოქტომბერი.

დაინახე, კომუნიზმის  
 ჩანს გასსკვლავი მხსნელი.  
 იქ ლენინია, იქ სტალინია  
 გაიშვირა ხელი.  
 მოღის ოცდამეთორთმეტი  
 გამარჯვების ზელი  
 და მოკლდება გზა სავალი,  
 გზა ძნელი და გრძელი.

პიონერო, რომ მიჰყვები  
 საოქტომბერო პარალეს,  
 ლენინია თუ დაზიბარა —  
 პავარ დაზიბარა,  
 სტალინია თუ დაგაგალა —  
 მაგამ დაგაგალა,  
 აგ შარაზზით იმ ვარსკვლავთან  
 იჩერეო ჩჩარა.

გასარეზული კაპარლები,  
 მოჭრიალე ხეები...  
 მოღიან და ცა და მიზა  
 სულ თან მოაჭვო მხრებით.  
 ყავისფრი კაზები და  
 თეთრი ზინცაფრები...  
 ნიტავი ვინ დააჩიტათ,  
 ან ვინ მისცათ ფრთები.

რა მართალი თბალებია,  
 რა ამაყი მზერა!  
 მზე სჯერათ და ეჩლერებათ,  
 მღერიან და — სჯერათ!  
 კრემლის ციდან გადმოეშვა  
 ჰაშუ, ცისარტყმლა —  
 ეს, ულგაფში სიყვარულით  
 გაეღია გილაძე...

მოღის ოცდამეთორთმეტი  
 გამარჯვების ზელი  
 და მოკლდება გზა სავალი,  
 გზა ძნელი და გრძელი.  
 დაინახე, დაინახე,  
 ჩარი როგორ არხევს  
 გამარჯვებულ ბაირალებს —  
 ჭითელ ბაირალებს.



# ტერთორის

იაკობ გალახაშვილი

ნაზ. გრ. ჩირინაშვილის



ცვლაში გასასვლელად გროვდებოდნენ. ეს ტყიბულში იყო, ლენინის სახელობის მაღარის სატაბელოსთან.

მასის ნათელმზიანი დღე იდგა. სადგურიდან მოსული სატვირთო მანქანა გაჩერდა, შეკრებილ მუშების პირდაპირ ზოგი ხელ-ბარგიანად გადმოვიდა, ზოგი უბარგოდ.

— შეხე! შეხე! იმას, — მიმართა ერთმა მაღაროელმა მეორეს და სხელი გაიშვირა თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭისაკენ. ბავშვი უფრო ჩამოვარდა, ვიღრე ჩამოვიდა მანქანიდან.

ცულჯიბეებგამოტენილი ხალათი ეცვა და ტილოს ჩექებში ჩაშეებული შარვალი. უქულიდ იყო. წაბლისფერი, ახალშეკრეჭილი თმა ზეგით აეგარეხნა. ხელში ჯოხი ეჭირა, ზურგზე პატარა ტომარა ეკიდა, საველე ჩანთის დარად გაეყარა პარზე გამობმულ თვეისთვის ხელი.

მაშინვე ცნობისმოყვარენი შემოესიენ და გამოყითხვა დაუწყეს.

წარბშეუხრელად პასუხობდა, თან შინდის ჯოხის აქევდა საუბრის დროს. კრიალა, ბავრეური თვალები უციმციმებდნენ, ამით გვერდიდათ მისი პატარაობა. ლაპარაკით, ქცევათ და და მიმოხვრით დიდი სხისძა... ნამდვილად თერთმეტის იყო, მეთორმეტეში გადამდგრარი.

არავინ ლაქევებულა მის ნაამბობში, მაგრამ საუბარში ფეხი მოიყიდა თუ არა, გულა ჯიბილან საბუთები ამოილო და გადასცა იმას, უინც პირველად გაუშვირა ხელი.

ქართველი ყოფილა. შშობლები ტყიბული დან დონგასში გადასულიყვნენ ათობდე წლის წინათ. დედა აღრე გარდაცვლოდა, მამა ფრინტზე დაჭლუპოდა.

— დონგასში არაფერი მაჟოდა, — თქვა მან, — მაგრამ მტერი რომ მოახლოვდა, აქეთ მირჩიეს წამოსვლა. მეზობლები ბარგის გაყიდვაში დამეტმარნენ, ფული შემნახველ სალაროში შემიტანეს... ეხლა, აქ მინდა ვიცხოებორ.

მისმა ჭკვიანურმა საუბარმა და ზრდილო ბიანშა ქცევამ მონიბლა იქ მყოფნი.

— მაღაროს უფროსთან მიმიყვანეთ! — სოხოვა მუშას, ვისაც საბუთები უჩვენა და წამასვლელად შეემზადა.

\* \* \*

ცეროდენა შეარქეეს, მოუხედავად იშისა, რომ ასაკის მიხედვით სრულიად ზომიერი ტანისა იყო.

ეს სახელი მაღა თავისდაუნებურად შემოკლდა და ყველანი ცეროს ეძახდნენ. არ სწყინდა, ღიმილი დაურბენდა ხოლმე შენარქეების გაგონებისას.

მაღაროელთა სახლში ცხოვრიბდა, პატარა ოთახში. მარტო ირჩია ყოფნა. ხუთიოდე დღეში ისე მორთო ბინა, რამდენიმე წლის მობინადრე გეგონებოდათ. მაღაროს უფროსის დახმარებით თვითონაც გამოეწყო.



წიგნები ძლიერ უყვარდა. ისე არ ჩავიდოდა ქალაქისაკენ, ახალი წიგნები რომ არ ძონეტანა. შალართის ბიბლიოთეკიდანაც მოჰქონდა წიგნები. რუსული, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ოცოდა, მეოთხე კლასიდან იყო. ქართულს არანაკლებ ფლობდა. ბავშვები შეიჩიდა, სხვადასხვა ბრაზულებს, სათავეებისაც და საბრძოლო წიგნებს უჭირთხავდა. „ცეროს კლუბს“ ეძახდნენ მის ოთახს.

\* \* \*

იმ დღეს სამი ახალი საკანი იხსნებოდა შალარში. სამივე საკანს მოწინავე — მეოთხე უბანი სხსნდა.

— ხელრონოდებით წინასწარვე მოხადეს საჭირო ხელსაწყო, ხე-ტყე და ერთი ყუთი ასაფეთქებელი მასალა.

ცეროც აქ იყო. ბავშვურ ნათელ სახეზე მოუთმებლობა ეტყობოდა.

რეისნახევარი როგორც ამცნოთ საყვირბა, ბურღვა, ლაღუმების ჩაწყობა და ოხრა დაიწყეს მაღაროელებმა.

მოუსვენრად დარბოდა ცერო. ხან ხელსაწყოებს აწედიდა მაღაროელებს, ხან ხეტყის მიწოდებაში ეხმარებოდა. რონბასში გაწრეთნილი ლაღუმების ჩაწყობაში. მამა ამფეთქებელი ყოლოდა. ზონარებს მოხერხებულად პფენდა და ლაღუმების ანთებას არავის უთმობდა.

პირველ საკანის გაჭრას მოიტნენ. არჭინო ხელსაწყო, ხე-ტყე და ლაღუმებისში უჭირა ხელრონოდებით გადაიტანეს შემთხვევაში ზე. მეორე საკანის გახსნაც დასრულდა. ყველაფერი შემიღობიანება და რიგზე ჩატარდა.

მესამე საკანზე გადავიდონენ. ფენათა განლაგება როული შეხვდათ. სიულიად შერალი, კვარივით ქვანახშირი იყო, წყლის ნატამალი არ სხანდა. სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ, ერთბაშად არ მოდებოდა ცეცხლი. თუ გაზები გამოჩენდებოდა, მთელი საკანი შეიძლებოდა აფეთქებულიყო. ფრთხილობდნენ. ცეროც ფრთხილობდა.

ორი მუშა თხრიდა და ბურღვადა. უკან მებიგები მიკყვებოდნენ. გამოთხრილს ბოძებს უყვნებოდნენ. ერთი ნიჩბით, ხან ხელით, მოკრილ ქვანახშირის იღებდა, გზას სწორდდა.

ლაღუმები ჩაწყო, ცერომ, ზონარები და აპენინი. ყველანი გაიკითხენ უშიშარ აღვილზე. შორს ლაღუმებით ყუთი იღო ხელრონოდაზე. ასანთი გაჭკრა ცერომ და გამოიქცა. იელვა, გაზებმა თავი იჩინეს. ხან აქ ხან იქ აითო გარემო. განასრულო ისარივით მიმორბოდნენ ნაერწკლები, გამაყრულებლად შიშინებდნენ და სკდებოდნენ.

— ლაღუმები! — გაისმა ვიღაცის ყვირილი.

— ლაღუმები! — გაიმეორა რამდენიმექ, მარტო ფეხი ვერავინ წასდგა.

ერთმანეთს ვეღია არჩევდნენ ბოლსა, ცეცხლსა და ჭვარტლში. ხანიდაზმული, გამოცდილი მაღაროელებიც დაიბრნენ. ლაღუმვა ელოდა ყველს. ერთორი წუთი და, ძვა-ქვაზე ლარ დარჩებოდა. მოელი მოძროს ბედი ბეჭვზე ეკიდა.

— გზა! გზა! — გაისმა უცებ. მას ხელრონიდის ბორბალთა ხმაური მოჰყვა.

გვერდზე მიდგნენ მუშები, ლიანდაგის გზა დაცალეს.

მარცხენა მხარით შედგომოდა ვიღაცა ხელრონოდას და მოავორებდა. მარჯვენა ხელით, ტანზემოდებულ ცეცხლს იქრობდა. საშვილობოზე რომ გაიყენა რონბა, ცეცხლმოდებული სამოსი გაიძრო. ყველანი გაექანენ მისკენ.

— ცერო! ცერო! — წამოიძახეს ერთმან.

ცერო კი, დინჯად იდგა საცელების მარტო. ცეცხლს ალაგა-ალაგ ხორცამდე მიეტანა. ტკივილს არ იმჩნევდა.

— როგორ არის საქმე? — პერთხა გვერდით მცვარ მაღაროელს და რარწმუნდა, საფრთხე აცილებული იყო, ღიმმორჩეულმა ღოინჯი შემოიყარა.

# კომპავშირის რაიკომის მდივანი

თოვლის საბანში გახვეული ახალქალაქი ღრმა ძილს მისცემოდა. ორგვლივ სიჩუმე, სუფევდა. ფხიზლობდა მხოლოდ კომკავშირის რაიკომის მდივანი თამარ ლაზარაშვილი. იგი მისჯდომოდა თავის საწერ მაგიდას და გულმოძგინედ ჩასტეროდა წიგნს. დროდადრო თავს მაღლა აიღებდა, ფართო, თეთრ შუბლს შეჰქრავდა და რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა. ასე გასტანა კარგა ხას. შემდეგ წიგნი დაკეცა, გიშერივით შავი ნაწინავები ზურგზე გადაიყარა, სკამიდან წამოდგა, კარალიდან წიგნი გადმოილო და ქვლავ საწერ მაგიდას მიუჯდა. მისი თვალები კედელზე დაკიდებულ მამის სურათზე შეჩერდნენ.

მამა, დღიდან ომის დაწყებისა, ფრონტზე წავიდა. მაშინ თამარმა ის იყო დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლეს სასწავლებელში აპირებდა შესვლას, მაგრამ ვერავი მტრის თვალსახმამ მისი გეგმები დროებით ჩამაღლა. მთელი ოჯახის პატრონობა მას დაეკისრა. პატარა საქმე როდი იყო უმცროსი და-ძმების მოვლა.

— ნუ გეშინია, დედიკო, — უთხრა მან იმ დღეს დედობის, როცა მამა ფრონტზე წავიდა, — მართალია ჩემი მძები ჯერ მცირეშლოვანნი არიან, მაგრამ მე გაგიწევ ვაეიშვილობას.

თამარმა სკოლაში დაიწყო მუშაობა უფროს პიონერხელმძღვანელად. ცოცხალი და ენერგიული გოგონა მაღლ კველობ შეიყვარა. მისმა პიონერებმა შექმნეს ბრიგადები, ექსარებოდნენ ომში წასულთა ოჯახებს, ფრონტზე მყოფთ უგზავნიდნენ თავიანთი ხელით დამზადებულ აბანათებს, სწერდნენ წერილებს.

ენერგიული უფროსი პიონერხელმძღვანელი დაწინაურეს და მთელი რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია ჩაბარებს. იმ დღეს, როდესაც იგი პლენუმმა მდივნად აირჩია, მან დალუპული მამის სურათთან ფიცი დასდო, რომ არ შეარცხვენდა მის სახელს და ლირსეული ატარებდა კომკავშირულ ბილეთს.

ამ ღამითაც მამის სურათს შესცემოდა ჯავახელი გოგონა. ასე იქცეოდა იგი ყოველთვის, როცა რაიმე ძნელი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი. ფიქრით ესაუბრებოდა მამის სურათს.

— მამა, ახალი წელი ახლოვდება, გაძარჯვებული ქვეყნის ბეღნიერების წელი. შენ კი ალარ ჩამოგვიტან მე და პატარა და-ძმებს საჩუქრებს თბილისიდან. — ცრემლის ორი წვეთი მოსწყდა შავ წამწამებს და მაგიდის მინს დაეცა, — მაგრამ იცი, მამა, — განაგრძო თამარმა, — არ დავტოვებ მათ გულდაწყვეტილებს, არა მარტო მათ, სხვებსაც, ვისაც ფრონტზე დაეღუპათ მშობლები.

თამარს სახე გაუბრწყინდა. ნათელი ჩაუდგა დიდორნ, წყლიან თვალებში, მტკიცე ნაბიჯით მეორე თოთაში გავიდა. მზრუნველობით გადახედა პატარებს, რომლებიც, ვინ იცის, სიზმრად სწორედ გერმანელებთან მებრძოლს ან შვილებთან მოთამშე თავის მამიკოს ხედავდნენ. თამარმა ერთს საბანი გაუსწორა, მეორეს ბალიში, ხოლო მესამეს, სულ პატარას, შებლზე ფრთხილად აკოცა.

— შვილო თამარ, რატომ არ დაწვები, საცა გათენდება და შენ კი ისევ ფეხზე ხარ, — უთხრა ლოგინიდან წამოწეულმა დედამ.

— არაფერია, დედა, არაფერი, — უპასუხა ალერსიანი ლიმილით თამარმა. მიუხელოვდა ლოგინს, სწრაფად გადაიძრო კაბი და საბანში გაეხვია. მეორე დღისათვის ზრუნვის ფიქრში გართულმა დიდხასი იტრიალა; და როდესაც მამაღლა პირველად იყივლა, მხოლოდ მაშინ ჩაეძინა.

\* \* \*

მეორე დღეს დილით თამარი პარტიის რაზე კომისი მდივანთან შევიდა.

— ამხანავ მდივანო, ჩენ მივიღეთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება მბლად დარჩენილ ბავშვებში საჩუქრების გაცემის შესახებ. ამ საკითხის შესრულებიში წვემზ-

რება რაიონული საბჭო და განათლების გან-  
ყოფილება. უკვე შეგროვილია ოციათასი მა-  
ნეთი. კომკავშირის ცენტრალური კომიტე-  
ტის შუამდგომლობით ნაძვის ხისათვის გა-  
მოგვიყვეს საქმიან დიდი რაოდენობით ნამცხ-  
რები და ტკბილეული.

— კარგია, — მოუწონა მდივანშა, — ტყურ  
ლად როდი გეძახიან საქმიან გოგონას. დაგ-  
ჭირდებათ სკოლის დირექტორების და უფ-  
როს პიონერების დღიურების თათბირი,  
პარტრაიომის მეორე მდივანი ყველაფერში  
დაგეხმარებათ, თუ რაიმე დაბრკოლება შე-  
გვდეთ, უსათუოდ შემატყობინე. — უთხრა  
მან კმაყოფილი სახით და მამობრივი მზრუნ-  
ველობით ხამოართვა ხელი.

\*\*\*

პირველ საათზე კომკავშირის რაიონმის  
მდივანთან წითელმაუდგადაფარებულ გრძელ  
მაგიდას შემოსხლომოლნენ თათბირზე მო-  
წვეული სკოლის დირექტორები, უფროსი  
პიონერების მდლვანელები და რაზმეულის საბ-  
ჭოს თავმჯდომარები.

— ამხანაგებო! — დაიწყო დინჯად თამარ-  
მა, — ყველანი უკვე გაეცანით საქართველოს  
კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დაღ-  
გენილებას ობლად დარჩენილ ბავშვებზე  
დახმარების შესახებ. საჭიროა, რაც შეიძლე-  
ბა, სწრაფად და კარგად მოვაწყოთ ამ საქმის  
ორგანიზაცია. ჩვენი გეგმა ასეთია: მოეწყოს  
ახალქალაქის რაიონის ნორჩიონერთა მეხუ-  
თე რაიონული შექრება ცოცხალი ნაძვის  
ხით, ვფიქრობ, ნაძვის ხე მოეწყოს აქვე, რაი-  
კომის წინ, ბალში. მისი მორთვა დაევალოს  
მეორე სკოლას, ხოლო საკონცერტო ნაწილს  
უხელმძღვანელებს პიონერული განყოფილე-  
ბის გამგე.

თამარმა ფანქარი მოიძარჭვა და თათბირ-  
ზე შექრებილთ მიმართა:

— საჭირო იქნება თქვენი წინადაღებანიც  
მოვისმინოთ.

— მე წინადაღება შემომაქვს, ამ შექრება-  
ზე სიტყვით გამოვიდნენ მოწინავე პიონერე-  
ბი, გვყავს სამამულო მისი მონაწილეობიც. —  
თქვა მესამე სკოლის უფროსმა პიონერები-  
მდლვანელმა ლამარამ.

— კარგი იქნება, კარგი. — დაეთანხმნენ  
მას.

კიდევ შეიტანეს რამდენიმე წინადაღება  
და თათბირი ამით დამთავრდა.

— მართლა და ყოჩალი გოგონაა ეს ჩვენი  
თამარმა, — ეუბნებოდა გზაზე მოხუცი დი-  
რექტორი თანამგზავრს, — ნამდვილი ვაჟკა-

ცია, უნდა შეხედო ზამთარში, როგორ მოი-  
დებს ნაბადს და მიაჭერებს მარხილში /გაბ-  
მულ ცხენს. ბაგშვობილანვე მკერძობლიული  
ცია და გამოიყენება.



სამაშტალო ომის მონაწილე პიონერი  
გენა გინია

ცოცხალი ბავშვი იყო, საწყალი მამამისი პა-  
რიასანი მშრომელი იყო.

— შვილიც კარგი გამოადგა, ჩემო ძამია.

\*\*\*

ოცდათერთმეტ დეკემბერს ღილის თორ-  
მეტი საათიდან რაიონმის წინ, ბალში, თავს  
იყრიდნენ ახალქალაქის რაიონის პიონე-  
რები. ყოველი მხრიდან მოსრიალებონენ  
მარხილები, საიდანაც სიცილ-კისეკისით ხტე-  
ბონენ თბილად ჩაფუთნული ბავშვები.

მეორე სკოლის პიონერებს დაემთავრებიათ  
ნაძვის ხის მორთვა. ნაირნაირი სათმაშობი  
ზამთრის ძალაგამოლეულ მზის სსივებში  
ათასფერად ბრჭყალებდონენ, ნამდვილი  
ოოვლის ბაბუა, ჩიბუქით პირში, მხიარულად  
ეგებებოდა პატარა სტუმრებს.

თამარიც იქვე ტრაიალებდა ბავშვებში და  
ახლად მოსულებს ესალმებოდა.

— ვანო, დედა როგორ არის? — მიუბ-  
რუნდა თამარი იქვე მდგომ პიონერს.

— გმაღლობო, ამხანაგო თამრო, კარგად.

— მესამე სკოლის პიონერების მდლვანელი,  
დამიძახე. — სთხოვა თამარმა ბავშვს. ხუთი  
წუთის შემდეგ პიონერების მდლვანელი ლენა  
მასთან იყო.

— ყველაფერი ზომ წესრიგშია? — ჰეითხა  
თამარმა.

— ყველაფერი, — უპასუხა ლენამ, —  
ყველაფერი ისეა, როგორც გეგმით გექონდა  
გათვალისწინებული. შეგვიძლია დავიწყოთ.

შეალე გამოჩდნენ პარტიის რაიონშის მდინარი, განათლების განყოფილების გამგე და რაიონის სხვა პასუხისმგებელი მუშაյები. მოსულნი სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნაზე ავიდნენ და ზეიმი დაიწყო.

შეკრების მონაშილეებს მიესალმენ სტუმრად სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული პიონერები.

— ძვირფასო მეგობრები! ჩვენი ახალგაზრდობა ბენიერია, რაღაც მასზე ყოველდღიურად ზრუნავს ჩვენი მთავრობა და ბავშვთა საუკეთესო მეგობარი დიდი სტალინი. — მიმართ შეკრებილთ თამარმა, — დღეს ჩვენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს გვინდა გადავცეთ საახალწლო საჩუქრები.

თამარს არც კი დაემთავრებინა სიტყვა, რომ ეზოში ბაგჟების ტანისამოსით, ღეხსაცმელებითა და სხვადასხვა საჩუქრებით დატვირთული საბარევო მანქანა შემოსრიალდა. პიონერთა ჯგუფმა ფრთხილად იწყო მანქანიდან ქაღალდებში შეხვეული ნივთების გადმოიღება.

სუვერიან ზურაბიშვილი სოფელ კალეთიდან.—დაიძახა თამარმა. წრეში მაღალი ტანის პიონერი შემოვიდა, სიხარულით უბრტყინავდა თვალები. თამარს საჩუქრაზე სწრაფად ჩამოართვა და თავის აღვილზე დაბრუნდა.

— ვაჩან ვანციანი. — ყველამ მარჯვნივ მიატერიალა თავი. თამარს კოხტა, მკვირცხლი პიონერი მიუახლოვდა. საჩუქრად გადაცემული შარვალი და ფეხსაცმელები ჩამოართვა, შემდეგ ამხანაგებს მიუბრუნდა და თქვა:

— მამაჩემი სამამულო ოშში გმირულად დაიღუპა. მას საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიანიჭეს. მძიმეა ჩემთვის მძიმი სიკვდილი, მაგრამ მე ვიცი, რომ ობლად არ დაგრჩი. ჩემი აღმზრდელი ბედნიერი საბჭოთა ქვეყანაა. დედაჩემი საუკეთესო კოლმეურნეა. პირობას ვიძლევი, წელსაც ხუთებზე დავამთავრო სასწავლო წელი და ზაფხულის პერიოდში კოლმეურნეობაში, შარშან თუ 150 შრომადღე გამოვიმუშავე, წელს 200 შრომადღე გამოვიმუშაო.

— ნათელა ალავიძე... ლამარა მელქაძე... გარო ზარიძე... კოსტია ჩერპანოვი... გენად ხინკო... — გაისმოდა თამარის წერიალი ხმა პიონერები რიგრიგობით იღებდნენ საჩუქრებს. კოსტია ჩერპანოვმა ყველაზე ბოლოს ჩამოართვა საჩუქრაზი. მის მკერდზე საბრძოლო მედლები ბრტყინავდნენ.

— კოსტია მოგვიყვეს თავის თავგადასა—

ვალს. — გაისმა რამდენიმე პიონერის ხმა. ჩერპანოვი შეჩერდა, თითქოს უხერხულობა იგრძნო, მაგრამ შემდეგ პალტო შეიქრია დაბალი ხმით დაიწყო:

— ეს იყო 1944 წლის თებერვალში. ჩვენს სოფელში გერმანელები იღენდნ. სუსხიანი ქარი ქროდა. ოთახის ბერე კუთხეში ჩუმად ვიჯეჭით მე და დედა, ასე ვხვდებოდი ჩემი დაბადების მერვე წელს. მამას ველოდი. ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ახლა პარტიზანი იყო, რაზმს ხელმძღვანელობდა.

უცებ ჩვენი სახლის ახლოს ყრუ გასროლის ხმა გაისმა. კარებს მივვარდი, მაგრამ დედამ არ გამიშვა.

დღით ფრთხილად გამოვადეთ კარები. ოციოდე ნაბიჯზე ჩვენი სახლიდან თოვლში იგდო მამაჩემის უსიცოცხლო სხეული. მე და დედამ დავაპირეთ საყვარელი მამის დამარხვა. ამ ღრის ჩვენსკენ მომავალი გერმანელების ჯაგუფი გამოჩნდა. ავტომატი დამიმიზნეს, არ შევრხეულვარ, თვალები კი დავხუჭე, სროლის ხმა გავიგონე, მაგრამ ტკივილი არ მიგრძნია. თვალი რომ გავახილე, ჩემ წინ სისხლში დასვრილი დედა ეგდო. მე მომეფარა და თვითონ დაიღუპა. ასე დავრჩი უდედმამოდ. ამის შემდეგ ნაშილში ვიზრდებოდი, ვიწვრთნებოდი. იქ მივიღე მედლებიც. დღეს მე ბედნიერი გარ, მზიურ საქართველოში ვცხოვრობ და ვსწავლობ. — კოსტიამ გაბრტყინებულ თვალებით შეხედა შეგობრებს, თამართან მივიღდა და გადაეხვიდა.

— გენადიც მოგვიყვეს, გენადიც, — დაიძახა რამდენიმე პიონერმა. ხინკო გენადი მორცხვად იღვა და თავის საჩუქრებს სინავდა.



კოშკაშირის რაიონმის მდივანი თ. ლაშარაშვილი გაზეოს უკითხავს კოსტია ჩერპანოვს.

— მე მოვყები, შე, გენადის ძეგირ. — შრიდან ქერაომიანი პატარა გამოვიდა და სულმოუთქმელად დაიწყო:

— მე კარგად ვიცი გენადის თავგადასავალი. გენადიმ ხილი, რომელზეც გრძელების უნდა გაფრთხოთ, ნაღმით ააფეთქა. ჩაშალა მტრის გეგმები და დიდი ზარალი მიაყენა მას. გენადის ჩვენ რაზმის შეკრება მოუწყვეთ და იქ მოვაყოლეთ დაწვრილებით ყველაფერი. ამავე შეკრებაზე შივეცით რეკომენდაცია კომკავშირში შესასვლელად. ის ჩვენი სკოლის გმირია.

— მართალია, მართალი. — უპასუხეს პიონერებმა და გენადი აიტაცეს.

— ჩემო პატარა მეგობრებო, ახლა უკვე ლხინის დროა. — შიძართა თამარმა ბავშვებს, — თოვლის ბაბუქი ტკბილეულებით გაგვიძინაბინძლდებიან.

ბავშვებმა ნაძვის ხის გარშემო რამდენიმე წრე გააკეთეს. გაისმა მხარული სიმღერები. თოვლის ბაბუქი სახე კალათებით გარს უვლიდნენ წრეს და უხვად აჯილდოებდნენ პატარებს, რომელთა სიცილ-ეისკისი გარე-მოს აყრუებდა.

სტუმრად მოსული კოლმეურნები აღტაცებით შეცყურებდნენ ბეღნიერი ბავშვების ზეიშს. — ნეტავ შენს მშობელს, შვილო თა-მარ, — შენატროდა მოხუცებული კოლმეურნე ქალი.

— ხელავ, ვანო, — უთხრა კოლმეურნე-ობის ბრიგადირმა კირილე ჭურაშვილმა მო-ხუცებულ გლეხს, — რა ბეღნიერი თაბა, იზრდება. საწყალი მამაჩემი 1904 წელს ია-პონიასთან ომში ტაილანდა, მე აკვანში დავრ-ჩი იბლად, დედა თვალებს იწყალებდა კურ-ვით, მაგრამ მაინც მშიერ-ტიტველი ვიზრე-ბიდი, არავინ ზრუნავდა ჩვენზე. ვის იუიქ-რებდა, რომ სწავლა-განათლება მიმელო. საბ-ჭოთა ბავშვებისათვის კი გზა ყელგან ჩსჩი-ლია.

— ბიძა კირილე, ბიძა კირილე, — შე-მოეხვიენ პიონერები და ლაპარაცი შეაწყე-ტინეს, — წამოლით ახლა ჩვენთან ერთად კლუბში, კონცერტი იწყება და კომკავშირის რაიონში მდივანი გვეძახის, გაჩვენებთ ჩვენს წევოქმედებას.

ბინდდებოლა, როდესაც ბავშვების ჭერი დამამაცვრეს და ჟივალ-ჭივილიდან გამო-სახლდები კლუბიდას. უმრავლესობაშ შოაბლები ბისვლოდათ წასაყახად და მარხილებში ცხენები ებათ. შაგრამ ბავშვები თითქოს ვერ ამჩნევდნენ მშობლებს, ჯგუფულფარ შეკრებილიყმენ, ზოგი გუნდაობდა, ზოგიც გაც-სარებული კამათობდა.

— მერი, იჩქარე, შვილო. შინ სტუმრები გელოდებიან. ბებამ გოზინაყი და ტკბილეული უკვე მოგიმზადა.

— ნინო, რომ იცოდე, რა კარგი ნაძვის ხე დაგიდგა მამამ!

ეუბნებოლნენ მშობლები შვილებს და მარხილისაკენ იწვევდნენ. თამარიც იქვე იყო და პიონერებს ემშვილობებოლა.

— გმადლობთ, ამხანაგო თამარ, გმად-ლობთ. — გაისმოდა ბავშვების წკრიალა ხმები.

ბავშვები დიღხანს ატრიალებდნენ ცხვირ-სახოცებს. თამარმა მიიხედა და მის გვერდით კოსტია ჩერპანოვი შენიშვნა, რომელსაც სახე დანაღლობინებოლა. მიხვდა რაიონმის მდი-ვანი, ბავშვს თუ რატომ წყდებოდა გული.

— კოსტია, რამ დაგალონხა? — შეეკითხა თამარი ბავშვებს და თავზე ხელი გადაუსვა.

— დღეს შენ ჩემი სტუმარი იქნები... გვ-ლა... — დაუძახა მან ძმას, — აბა, შენ იცი, გენადიც იპოვნეთ და შინ წადით, მეც ახლა-ვე დაგეწვით.

თამარი რაიონში შებრუნდა. მიღებული ფოსტა გადასინჯა, ზოგიერთი მასალები ცალკე გადასდო.

როდესაც თამარი შინ დაბრუნდა, ბავშვები ისე გართულიყვნენ თამაშში, რომ იგი ვერც შენიშვნეს.

— დედა, ვაცადოთ კარგად გაუმჯობინ-დლდეთ პატარა სტუმრებს, — უთხრა დედას თამარმა და გადაეხვია.

ბავშვები მაგიდას მოუსხდნენ.

„მოგილოცავთ ახალ წელს!“ „მოგილო-ცავთ ახალ წელს!“ — გაისმა რაღიოში. თა-მარმა გოზინაყი ჩამოუწიგა ბავშვებს და სათითოად გადაყოცნა.

თამარ საჯაიც



# მიჩურინელის ეძახიან

## გრიგოლ ებაშიძე

არ გინახავთ მეგობრებო?—  
ქართლში ერთი სოფელია,  
იქაური ვაშლის ქება  
მთელ ქვეყანას მოჰქონია.

იქ რომ მსხალი დამწიფდება,  
ცარიელა შაქარია;  
კაცი, ქალი, დიდ-პატარა  
ბალებს ზრუნვით დაჭარიან.

მაგრამ მოგანან ერთი არი  
ხანდაზმული, თმაჭალარა,  
მის ბალნარში ერთ ნერგიც  
არასოდეს არ გამხმარა.

დადის, ამყნის დანით ხელში,  
ქორფა ყლორტებს ჩაპირკიტებს,  
საოცარი შეგრძნობა აქვს  
ამ კეთილი კაცის თითებს.

ხვდება, შევლა რომელს უნდა,  
რომელია გასაჭირში,  
მან პირველმა გააშენა  
ახალ-ახალ ვაშლთა ჯიში.

ერთ ჯიშს ამყნის მეორეზე,  
ელავს მისი მჭრელი დანა,  
ქართლში ბეგრი უცხო ხილი  
მან პირველმა შეიტანა.

ზამთარ-ზაფხულ თავს ევლება  
ბალია, თუ ვენახია,  
მას სახელით არგინ იცნობს,  
მიჩურინელს ეძახიან.

მწიფე ხილი არეის ახსოებს  
მის ნაკვეთზე მოლეული,  
მისი ბალის სანახავად  
მოდის ბევრი შორეული.

ჰოდა, აბა, რატომ გიკვირთ,  
მეც რომ მისი მოწაფე ვარ?  
განა ბალში რბენა კმარა  
მწიფე ხილის მოსარბევად?<sup>?</sup>

ბიჭი უნდა გამრჯეც იყო,  
რომ ვერვინ თქვას შენი ცუდი!  
უკან დავდევთ მიჩურინელს  
შეგირდების მთელი გუნდი.

მუყაითებს არ გვიშორებს,  
ზარმაცები ეჯავრება,  
ჯიშებს გვაცნობს, თვითონ გვაჩვევს  
მყობასა და შეჯვარებას.

ჩვენც ვცნობთ შველა რომელს უნდა,  
რომელია გასაჭირში,  
ვცდილობთ ყინებს შევაჩვით  
ხეხილი და ვაზთა ჯიში.

ერთ ჯიშს ვამყნით მეორეზე,  
ჩვენს ხელებშიც ელავს დანა,  
ვსწავლობთ, ვიკვლევთ უცხო ჯიშებს  
მშობელ ქართლში შესატანად.

ახლა ქართლში მოწინავე  
ჩვენი კოხტა სოფელია,  
ჩვენებური ხილის ქება  
მთელს ქვეყანას მოჰქონია.



იყო დრო, როცა გაზაფხულზე ქალაქ კოშლოვში იამსკის ქუჩის მცხოვრებთ, რომელთაც კარ-მიდამოში ხეხილი ჰქონდათ მაშენებული, აკვირებდა რეზინგზის კონტორის მოხელის მიჩურინის მიწმება. იგი დააკაცუნებდა რომელიმე ეზოს კარზე, საჩქაროდ შევიღოდა ეზოში და, მისვლის მიზეზის განუშარტავდა, მოითხოვდა წაეყვანათ ბალში.

ბალში მიჩურინი შეარჩევდა ერთ-ერთ ვაშლის ხეს, ვახსნიდა თავის სამგზავრო ჩანთას, საიდანაც ამოიღებდა პატარა, ბრწყინვალე ჩემეტიას. ამ ჩემეტიათი მიჩურინი ვაშლის ხეზე ორსამზ კოკორს გაშლიდა და იქიდან გამოქვექდა მტვრიანებს. შემდეგ კოკრებს დახურავდა მარლის ტომრაკებით და ტომრაკებს ტოტებზე დაამაგრებდა. გვერდით დაუკიდებდა თუნუქის ეტიკეტს და შეთამაგონებლად იტყოდა:

— გაუფრთხილდით ამ ტოტებს! აუკრძალეთ ბავშვებს, რომ არ შეეხონ. ხვალ, ათ-თერთმეტ საათზე, ისეგ მოვალ და ყველა-ფერს აჯიქინით. — ბოლიშ მოიხდიდა, ა-

# ბუნების დიდი ეროვნული მუზეუმი

დებდა თავის სამგზავრო ჩანთას და ხაჩქროდ სტოვებდა ბალს.

— ნამდვილად ახირებული კაცია ეს მიჩურინი! — ამბობდნენ მცხოვრებნი. მიუხედავად ამისა, ცნობისმოყვარეობა აიძულებდათ ხელი არ ეხლოთ მიჩურინის მიერ მარლის ტომრაკებით შეხვეულ კოკრებისათვის და უცდილენენ, რა იქნებოდა მეორე დღეს.

მართლაც, მეორე დღეს მიჩურინი ისევ მივიღოდა ბალში შეარჩეულ ვაშლის ხესთან, ამოიღებდა სამგზავრო ჩანთილან პატარა მინის ქილას, კოკრებს შემოსხიდა ტომრაკებს და მინის ქილიდან ყვავილებში ჰყრიდა სხვა ვაშლის ხეებილან მოტანილ ყვავილების მტვერს. კოკრებს ისევ ტომრაკებით დახურავდა და განმარტავდა, თუ რა ცდის აკეთებდა.

— თუ ჩემმა ცდამ გაამართლა, — ამბობდა ის, — ამ ტომრაკებში განვითარდება და ღამწიფდება ვაშლები. მე ჩემი ხელით დაგირგვთ კიდევ ერთ ვაშლის ხეს. — და შემდეგ მიიჩეაროდა.

ასე იყო თუ ისე, ხეხილის მეპატრონინებს მაინც საკვირველებად მიაჩნდათ მიჩურინის მოქმედება. მაგრამ საკვირველი აქ არა იყო რა.

იმ დროს ჩეინიგზის კონტორის მოხელეს ივანე მიჩურინს არ ჰქონდა თავის ბალში მსხმიარე ხეხილი და იძულებული იყო ცდები ჩაეტარებია, ახალი ჯიშების მისაღებად, სხვის ბალებში.

მოულოდნელი და საკვირველი სტუმარი მიჩურინი მალე ხდებოდა სასურველ სტუმარდ. იგი მცურნალობდა დაავადებულ ხეებს, მცხოვრებლებს ურჩევდა, როგორ უნდა მოეცოთ ბალისათვის, როგორ ჩაეტარებით ბრძოლა მავნებლებთან, ამარავებდა მათ თესლებულით და აძლევდა ნერგებს, ამზადებდა თაგვების, ჭიანჭველებისა და მიხრების საწილალმდეგო შხამებს. საჭიროების დროს აწარმოიებდა საათების შეკეთებას, ასწორებით დასკერდა მანქანებსა და სანადირო თოვებს.

მაგრამ შემონ, მეფის ბნელ დროში, მიყრუებულ პროგინციაში არავის არ წარმოედგი-

რა, რომ მომავალში მიჩურინი იქნებოდა  
ბუნების დიდი გარდამჯემნელი.

\* \* \*

ივანე კლადიმირის-ძე მიჩურინი დაიბადა  
1855 წელს 28 ოქტომბერს, პატარა კარ-  
მილამში, რაიაზანის გუბერნიაში.

მიჩურინის ბაბუა ივანე ივანეს-ძე —  
„მაიორი და ქავალერი“ ნაკოლეონის  
წინააღმდეგ მეომარი — და მამა გატაცებული  
მებალეები იყვნენ.

მიჩურინის ბავშვობისა და ყრმობის  
წლები მიღიადა ბარში, რომელიც მისმა  
მამამ გააშენა მდინარე პრონის ნაპირზე.

მოწიფულობის წლებში იყონებს რა თავის  
ბავშვობას, მიჩურინი წერს: „რაც ჩემი  
თავი მახსოვს, ყოველთვის მთელი არსებით  
შეძყრობილი ვიყავი მხოლოდ ერთი მის-  
ტრადიციით, რომ გამეზარდა ესა თუ ის  
მცენარე. ეს გატარება იმდენად ძლიერი  
იყო, ლამას ვერ ვამჩნევდი ცხოვრიბის ბევრ  
სხვა დეტალს. მათ ჩაიარეს ჩემს ახლო  
და თითქმის არ დასტოვეს კვალი ჩემს  
მესხსიერებაში“.

შეიძლო მიჩურინის დააწყები-  
ნეს აღრე — ოთხი წლის ასაკიდან. ასწავლიდ-  
ნენ მამა და დედა ტატიანა ივანეს ასული.  
სოფლად სკოლაში მიჩურინი არ ყოფილა.

შემდეგ მამამ მიჩურინი მიაბარა პროცესის  
სამაზრო საწალებელში. ეს სასწავლებელი  
მიჩურინმა დაამთავრა და ენერგიულად და-  
იწყო მომზადება უმაღლეს სკოლაში შესასვ-  
ლელად. მაგრამ მოულოდნელად უბედურე-  
ბა ეწია: მიჩურინს მამა გარდაცვალა და  
მათი კარ-მითამო გალში წაიღეს არგილობ-  
რიმა მდიდრებმა. ბიძამ ლეკ ივანეს-ძე მი-  
ჩურინმა ყმაწვილი რაიაზანის გიმნაზიაში  
მოაწყო, მაგრამ გიმნაზიაში შეისვლისთანავე  
მიჩურინი გამორიცხულ იქნა, როგორც  
„უჩინი“.

ასეთმა გატეხილმა ცხოვრებამ ახალგაზრ-  
და მიჩურინი აიძულა, დაგრივებინა შობ-  
ლიური მხარე. იგი გადასახლოა კოზლოვში  
და დაიწყო მუშაობა რეინიგზაშე კონტრის  
მოხილედ, სადაც მცირე ხელფასს ლებუ-  
ლობდა.

მაგრამ სამსახური არ იზიდავდა ახალგა-  
ზრდა მიჩურინს, მას მთელი სულით სხვა  
პროფესია — მებაღიობა იტაცებდა.

და მართოაც, შიშეელ ქალაქურ პატარა  
კარ-მიდამოში, რომელიც იჯარით აიღო საშ  
მანითად თვაში, მიჩურინმა, პირველმა რო-  
სეთში, 1875 წელს მოაწყო სანიჩევ კინგა-  
გამძლე ჯიშების — მსხლის, ვაშლის, ქოია-  
ვის, ბალის, ჭერამისა და ვაზის გამოსაყ-  
ვნებდა.

მიჩურინი დამოუკიდებლად სწავლობდა  
ბოტანიკას, ბოოლოგიას და მცენარეთა ფი-  
ზიოლოგიას. თავისი კვლევითი მუშაობის  
პირველი ათი წლის შემდეგ მიჩურინი უკი  
გამოიის ბურჯუაზოულ მუნიციპალიტეტის წი-  
ნააღმდეგ, რომელიც მავნებლურად ქადა-  
გებლენენ: „აღამიანი ულონოა შესცვალოს  
ბუნების წესრიგი“ და ამტკიციბლენენ, რომ  
„ბუნებაზე უსურეს ცერაფერს მოიფეირებ“,  
რომ „მცენარეები და ცხოველები არ იცვლე-  
ბიან და რჩებიან მსეთებად, როგორებიც  
შეჰქმნა ისინი უფალმა ღმერთმა“.

მკაცრ კლიმატურ პირობებში მიჩურინშა  
შესძლო მიღო ახალი ყინვაგამძლე, უცვმო-  
საკლიანი, შესანიშნავი ხარისხის ნაკოფის  
მქონე ვაშლი, ზამთრის მსხალი, ალუბალი,  
ქლიავი, ბალი, ჟერამი და ვაზი.

იმ დროს ივანე ვლათიმერის-ძე ცხოვრობ-  
და ძლიერ არიბად. მეფის მთაგრობა პა-  
ტარა მნიშვნელობასაც არ აძლიერა მის უდი-  
დეს მიოწევებს და უარი უთხრა მიჩურინს  
თხოვნაზე იმის შესახებ, რომ მისი მუშაობის  
გასაგრძელებლად და განსაკითარებლად ჩა-  
მოყყალიბით სპეციალური სკოლა.

მიჩურინის მუშაობის მნიშვნელობის შესა-  
ხებ ბორუჟაზიული მერიერები სღომონენ.  
მიჩურინის სახელგანთმოლი ალუბალ-ბალის  
ჰიბრიდები „უკანონოშობილად“ იწოდე-  
ბოდა.

საბჭოთა ხელისუთლების დამყარების  
შემდეგ მიჩურინი მიწათმომიტების გან-  
ყოფილებაში მივიდა და განაცხადა:

— მე მინდა ვიმუშიო ახალი ხელისუფ-  
ლებისათვის.

ამ მომენტიდან დაიწყო ნათეონი ხანა მი-  
ჩურინის ცხოვრებასა და მომაწეობაში.

ვლათიმერ ილიას-ძე ლენინისა და შიმდეგ  
იოსებ ბისარიონის-ძე სტალინის მითითებათა  
საფუძველზე დაიწყო მიჩურინის საშმის  
სწრატი განვითარება. მიჩურინის ძირითად  
მერიერის მიწევით შეიძინა მეხილე-  
ობის მერიერულ-საშარმოო მსოფლიო ოდი-  
დესი ცენტრი; ჩამოყალიბდა კინგრალური  
გენერიკული ლაბორატორია, სამეცნიერო-  
საკულევი ინსტიტუტი, უმაოლესი სასწავ-  
ლიერო, ტექნიკური, საბაზო სასოფლო-  
სამეცნიერო სარგებლი და მიჩურინის სახილო-  
ბის საბჭოთა მიურნებაბანი 3.500 ჰექტარ-  
ზე. ქალაქ კოზლოვს, კარ კიდევ ივანე  
კომადიმერის-ძე მიჩურინის სიცავაზოგაში,  
იწორა ქალაქ მიჩურინისკენ. მოაღრიბამ მი-  
ჩურინი დააუილდოვა შრომის წითელი  
დროშის ორდენით და ლენინის ორდენით.

მიჩურინმა თავისი იდიოტი კალა-  
ცის წყალობით ბუნებაში ბევრი ისეთი რამ

დაინახა, რაც ფარული და შეუჩენეველი ჩემი ბეკრი დაშრინისათვის. მცენარის განვითარებაში შენიშვნული მთელი თავისებურება მიჩურინნა შეისწავლა არა იმისათვის, რომ მხოლოდ აქესნა განვითარების მსვლელობა, არამედ იმიტომ, რომ ურნიტორულია ჩარეულიყო ბუნების მოქმედებაში, დაუფლებოდა მცენარის ცხოვრების კანონზომიერებას და მიეღო ბუნებისაგან რაც შეიძლება მეტი, ადამიანის მუდმივმზარდი მოთხოვნილების დასამაყოფილებლად.

პროლეტარიატის უდიდესი მასშავლებელი კარლ მარქსი ამბობდა:

„ფილოსოფისები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტვდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ სამყარო შეცვლილ იქნეს“.

მიჩურინი მარქსისტულად, მატერიალისტურად აწარმოებდა მცენარის გარდაქმნას და გადაკეთებას ადამიანის სასარგებლოდ.

იმისათვის, რომ შექმნილიყო ჩენი სამშობლოს შეუაზლისათვის ყინვაგამძლე ჯიშები: ვაშლი, მსხალი, კერამი, ატამი და ვაზი ისე, რომ არ დაცემულიყო ნაყოფის ხარისხი და მოსავლიანობა, საუკეთესო სამხრეთულ ჯიშებთან შედარებით, საჭირო იყო ისეთი საშუალების გამონახვა, რომელთა დახმარებით მოზარდ როგორიშებას შეეძლებოდათ ატანათ რუსეთის ზამთრის ყინვა.

მიჩურინმა აომოაჩინა განსაკუთრებული საშუალება. აი, მაგალითად, როგორ გამოიყვანა მან თავისი ცნობილი მსხალი „ბერზიმნაია“. დედამცენარედ მცენიერმა აიღო უსურის ველური მსხალი, შორეულ აღმოსავლეთიდან. მისი ნაყოფი თითქმის არ იქმება, მაგრამ ხე გამოიჩევა ყოველწლიური მაღალი მოსაკლიანობით, სიცოცხლის ხანგრძლივობით, რომელიც იტანს სამოცგრადუსამრე ყინვას. მასმაცენარედ მიჩურინმა აიღო მსხვილი „ბერე-როიალ“ ყირიმიღან. ის ყოველწლიურად იძლევა მაღალ მოსავალს, მსხვილი ნაყოფი აქვს, მაფიოზ დაფერილი, მეტად გემრიელი და შესანიშნავად ინახება მოელი ზამთრის განმშვლობაში.

მიჩურინმა შეაჯვარა ეს ორი ხე და მიიღო თავისი ცნობილი მსხალი „ბერზიმნაია“, რომელიც ინარჩუნებს უსურის ველური მსხლის ყინვაგამძლეობას და „ბერე-როიალის“ ნაყოფის სიღრდესა და გემოს თვისებას.

მიჩურინმა დაადგინა, რომ თავის სამშობლო ადგილიდან ასე დაშორებული მცენარეების შეჯვარებით მათი შთამომავლობა

უკეთესად ეგუება ცხოვრების პირობების ურთიერთების ახალ სამშობლოში.

ასეთი გზით შეაჯვარა მიჩურინმა უკანასკნელ აღმოსავლები ვაზი სამხრეთის კულტურულ ვაზთან და მიიღო ახალი ვაზის ჯიში, რომლის ნაყოფი ახლა მწიფდება მთელ შეუარსებრი: მოსკოვის ახლო, სმოლენსკი, პუკირვის ოლქში, ბაშკირებში და ბევრ სხვა ადგილას.

მიჩურინმა შეაჯვარა არა მარტო ერთი ბორინიეური სახის მცენარეები, არამედ შორეული გვარის მცენარეებიც. მაგალითად, ალუბალი ბალთან, შოთხვი ალუბალთან, ჭინავი მსხალთან.

ი. ვ. მიჩურინმა გამოიმუშავა მცენარის ცხოვრების წარმმართველი ბევრი მცენიერული საშუალება, მაგრამ მის მუშაობაში მთავარია მენტორის ხელი. ამ ხერხის გამოყენებით ადამიანს შეუძლია მართოს მცენარის ცხოვრება, აიდულოს იგი გარდაიქმნა და მოიტანოს დიდი სარგებლობა.

შენტორის ხერხის საშუალებით მიჩურინმა შექვემდებარები ვაშლი „რენეტ ბერგამონი“; თავის ჯიშთან შედარებით, ნაყოფი დაუმსხვილდა „კანდილ-კიტაის“. უგემურ და წვრილ ვაშლებისაგან მიჩურინმა მიიღო მსხვილი და გემრიელი ვაშლები, ხოლო ვაშლი „ბელფელერ კიტაიი“, რომლის ნაყოფი შემოღომაზე შემოღიოდა, გარდაიქმნა ზამთრის ჯიშად.

ბუნების დიდი გარდამჯმნელის მცენიერული მიღწევებით მიჩურინის მოწაფები და მიმდევრები ჩრდილოებში, ურალში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში ჰქმნიან თავის ადგილობრივ არა მარტო ვაშლისა და მსხლის ყინვაგამძლე ჯიშებს, არამედ ისეთი სამხრეთული მცენარეების ყინვაგამძლე ჯიშებს, როგორიც არის ვაზი. კერამი, ბალი. მიჩურინელები აუჯობესებენ ძველსა და ჰქმნიან ხორბლის, ჭავის, კარტოფილის და სხვა სასარგებლო მცენარეთა ახალ ჯიშებს.

ცოცხალი ბუნების გარდაქმნაში ასი ათასობით ნორჩი მიჩურინელები ღებულობენ მონაშილეობას. ეს არის ყოველი პიონერისა და მოსწავლის საინტერესო და კეთილშობილური საქმე. საჭიროა ყოველთვის მიჩურინულად გადავლახოთ სიძნელე, კეთილშობილური მიზნით, დაუინებით მივისწრაფოდეთ ბუნების გარდასაქმნელად, შეგქმნათ უმშევენერესი მცენარეები და მოვრთოთ მშობლიური მიწა მწვანე ბაღებითა და პარკებით.

## 5. გახარიშვილი



## მოარ ჩხეიძე

გთხ ხ რ თ ა

ნაზ. ირ. ჩაზმაძისა

მღვიმედან წერაქვები და ნიჩბები გამოიტანება. იცნენ ერთხანს დაფიქრებულნი, შეპყურებდნენ ერთმანეთს. მერე რეზო ხავ-სიან ლოდზე ჩამოჯდა, გოგი და ზაზა ნიჩ-ბებს დაფიქრდნენ. მათი შუბლი ფიქრს დავ-იარა. რეზო მართლა სწუხდა, მართლა გა-იაცდიდა, ზაზასაც დიდი აღამიანის ზრუნვა მორეოდა. გოგის კი არ შეეძლო ასეთი და-ლინჯება, მაგრამ, მეცობრების მიბაძვით, ტუჩება გამოებურთა, თუმცა მზად იყო ყო-ველ წუთს ცას სწეოდა სიხარულით.

დაფიქრებულიყვნენ მეცობრები.

დალონებულიყოთ ძელი ციხის ჩამოშლი-ლი ქონგურები, ზოგჯერ ჩიტუნები შემოევ-ლებოდნენ ლალი ჭირებით, სულ მაღლა ჩე-დელზე ამოსულ ასკილის ბუჩქს ჩაუტრთია-ნებდნენ. ფრინჯელებს ფიქრიან თვალებს გააყოლებდნენ მეცობრები, მერე ერთმანეთს შესხედავდნენ მოწყენილი ღიმილით და კვლავ თავს ჩაჭირებდნენ.

რას დაელონებინა მეცობრები?

ხშირად, ძალიან ხშირად მასწავლებელი დიდი გატაცებით, სიამშეით და სიხარულით მოუთხრობდა, როგორ დაექცები საქართვე-ლოს სიძველეებს სწავლული ადამიანები, რა ძეირფასი ნიკოები აღმოაჩინეს და, ამ აღმოჩენათა მიხედვით, როგორ ასნეს ჩვე-ნი წარსულის ბევრი შესუსტავლელი ამბავი... ვის არ მოესურვებოდა ამ საქმეში წვლილის შეტანა! მერე, თურმე, ბევრი რამ კი არა ნორმია ძიებას (ასე დაასკვნეს რეზომ, ზაზაშ და გოგიშ): ძელი სამაფლაოს, ძელი ციხის, ნაქალაქარის, ნასოფლარის აღვილას უნდა თხარო, თხარო და რაღაცას წააწყდები. მე-რე გაზეოთში დაწერენ, რა აღმოაჩინა მოხა-ლისეთა ჯგუფმა რეზოს მეთაურობით, მას-წავლებელი მოელ სკოლას მოსდებს ამ ამ-

ბავს... ვინ იცის, ვინ უწყის რა აღმოაჩი-ნებ?!.

თქვეს და ალასრულეს, აიტანეს წერაქვე-ბი, ნიჩბები, თოვები მსალ მთაზე, შემოუ-რეს და შემოთხარეს ციხის ირგვლივ მიღა-ბო. თხრიან, ჩიჩქნიან აგრე რამდენიმე დღეა, მაგრამ გერაფრის ნიშანვალს წააწყდნენ.

მაშ, არ დალონებულიყვნენ?!.

მაგრამ გოგის მაინც ეცნებოდა ხოლმე და უბლვერდა რეზო...

— რა გჭნათ?! — სასოწარყვეთით იქითხა ზა-ზამ.

— უნდა ვეძებოთ!.. ხელის აღება არ შეიძ-ლება! — დინჯად მიუგო რეზომ. — ვინ იცის, როგორც კი თავს დავანებებთ, ჭიდევ ერთი წერაქვის დარტყმის იყოს საჭირო და რალამაც იჩინს თავი, ჰა?!

— ჰა, ჰა, ჰა! — გაიცინა გოგიმ.

— თვალები დაუბრიალა რეზომ, — თუ კიდევ გაიცინე, აღარ წამოგიყვანო! შენ მაინც ვერ გაიგებ რას ვაკეთებთ!

— რას გაიგებს! — ამრეზით დაატანა ზაზამ. რეზოს ვერაფერი შებედა გოგიმ, ზაზას კი შეუტია:

— შენმა შეხმ! რას გაიგებს?! ჰა, ეს გაი-გებს და მე ვერა.. ჩანა მე არ კიცი გაზეთი?! საგაზეთო საქმეს ვაკეთებთ, აი, თუ ვერ ვა-ვიგებ!

— საგაზეთო კი არა, ლობიოს ჭამის საქ-მესაც არ ვაკეთებთ, მეტი მუშაობაა საჭირო!

— მტკიცედ თქვა რეზომ.

— მერე ვინ ამბობს არ ვიმუშავებო? შენ მხოლოდ ხელი დაადგ საღა ვოხარო! — გუ-ლიანად თქვა გოგიმ.

— კიდევ ეგაა საქმე, სადაც ხელი დავადე, ასაფერი აღმოჩინდა! — ამოიხრია რეზომ.

— მერე მე რას მიწყრებით?! — გაიკირ-ვა კოგიმ.

— შენ თბილ გოწყვრები, საქმე დასაღონებლადა გვაქვს და არა სასაცილოდ, ეს უნდა გაიგო!

— დასაფიქრებელია და ვიფიქროთ, აღარ გავიცინებთ — შეუბ-ლი მოჭმუხნა გოგიმ, მაგრამ მაინც ძალიდებოდა ზაზის, ეგებ სა-საცილო რამ შევნიშნოო.

იფიქრეს, იფიქრეს!

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, რეზო წამოდგა, გაიარა. ფუქდაფეს აპყვნენ მეგობრები.

— ჯერ ადგილი უნდა დავიგულოთ! — თქვა რეზომ.

— ადგილი უნდა დავიგულოთ! — გაიმეორა ზაზიამ და ცოგის გა-დახედა, აბა, თუ მიხედება მერე რა უნდა გაჰეთდესო.

— დავიგულოთ! — თქვა გოგიმაც.

— ამისათვის საჭიროა დავაკვირდეთ გარემოს და გავიხსენოთ წარსული. — უკვე ციხის წინ მოედანზე იყენენ, როცა ესა თქვა რეზომ.

— ჰო, გაისხენებს, ყოვი გაისხენებს დაწვრილებით, ისემც თავი დაურჩება! — გაჰკილა ზაზიამ.

— შენმა მზემ! — შეუტრა გოგიმ, — აბა თუ ცერა: ამ ციხეს ერთხელ დამით უეცრად თავს დაესხა მტერი. კიბეები მოაღეს, ამობობლდნენ კედლებზე. ღროშე გაიგეს მეციხოვნებმა და იმ ხრამში გადასჩეხეს ყველანი.

— მოიცა, მოიცა! — შეაწყვეტინა რეზომ, — მტერს ალბათ ნაძარცი ჰქონდა თან, სულ იმ ხრამში ჩაიყოლებლნენ! ჰერიჰაა, აი, სად უნდა ვეძოთ! შენი ჰირიმე გოგი, შენი!

გოგიმ თავი ამაყად დაიჭირა.

აძრეზით გადახედა ზაზიამ.

შერე ხრამის პირში, დიდ თელას ჩაბეს თოვი და ისროლეს ხრამში, ისროლეს წერაკები და ნიჩბებიც. ჯერ რეზო ჩაცოდა, შერე ზაზიამ, შერე გოგი...

დიდხანს თხარეს. უცებ წერაქვი რაღაცას მოხვდა, დაიწერია-ლა. სახე გაებაღრაო, ნათელი დაადგათ მეგობრებს, ჩამუხლეს, ფრთხილად, თოთქმის ფრჩხილებით დაიწყეს შიწის შემოცლა. შე-მოაცალეს, შემოთხარეს და უანგით ჩაჭმული, მორკალული ხმალი შერჩათ. ხელი შეახეს თუ არა, ვადაში გადაიხსნა ხმალი. უანგიც ჩაიშალა და ჩარჩა შიწაში.

— წარწერა არ ატყვია! — ბულის ფანცებით იკითხა ზაზიამ.

— წარწერა თორემ ამისმა ვერინბამ დიდი რამ ეწერება, კარგი რაც ჰქონაა, ეანგს შეუჭამია. ბარემ სულ შეეჭამა და ეს ნასახიც არ დარჩენილიყო! — მძულვარებით თქვა რეზომ. — თურქული ხმალი, მუზეუმშიც აკი გვაჩვენეს!

ხმალი მიწა დანარცხა რეზომ, შერე მი-წირ მოიხეხა, მოიწმინდა ხელისგულზე დარ-ჩენილი უანგი.


— ამანაც გვაჩველა რა! დამცინავად თქვა ზაზიამ და შეუბლიდან თფლი მოიწმინ-და. — მოდი და აპყვევი ბრიყვის რჩევას!

— მე რა ვენა! — გულდაწყვეტით ჩაიდუღუ-ნა გოგიმ, დალლილიყო, როდილა ეცინებო-და.

შერე ქვა და ლორდი მიაყარეს დაშსვ-რეულ ხმალს, ორმო მიწით ამოავსეს და, როცა ზევით აფიდნენ, იქრდანაც დააყარეს ბელტები.

— უანგმა გუამოს, მიწამ გუამოს! — ჩა-დახოდა ზაზიამ.





## გრ. ბერძნებიშვილი

ქვემეთი ზაფხულში ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სავანეა. წელს აქ სუთი პიონერთა ბანაკი და ხუთმეტამილე საბავშვო ბაღი იყო.

მეტად საინტერესო, მრავალფეროვანია პიონერთა ცხოვრება ბანაკში. პიონერთა ბანაკის ყველი დღე სიმღერაა საამურ ცხოვრებაზე, სიმღერაა მსოფლიოში უძველ, ნიერეს ბავშვებზე, საბჭოთა ბავშვებზე. ბედნიირებაა სწერო მათზე, იძღვოთ შათზე. უშრეტი მასალაა მწერლისათვის, მაგრამ ჩემი ნარკვევის დღევანდელი ამოცანა კონკრეტულია. მე მოგითხოვოთ ერთ დღეზე ძალიან ფრთხოად, ისე, რომ არც არაფერი მოვალო და არც გადავაჭარბო. ეს არის პიონერთა დღე.

17 აგვისტოს შებინდებისას ბანაკში პიონერთა საყვირის ხმა ჩაისამა. ეს იყო ნიშანი, რომელიც პიონერებს ხაზზე დასაღომად მოუწოდებდა. მეც გავყევი იმ ნიშანს. მოედანზე, კაპლების ხეივანზე, ანდაზე ამართულ დროშის ქვეშ პიონერები გამწყირიდნენ. ეს არის სახვეჭრობის მუშავთა პროფესიონერების პიონერთა ბანაკი. რაღაც განსაკუთრებული სახეობო განწყობილებაა. აი, გამოჩენდა ბანაკის უფროსი, ომგადახდილი სილიბისტრო ქარისანიძე. რაზმას ხელშეღვანების უბატაკებენ რაზმების პროფესიონების შესახებ. ბანაკის უფროსი მიესალმა ხაზზე მდგომად პიონერებს. კავაკი

— ამხანავო პიონერებო ხვალ ჩვენავის განსაკუთრებული დღეა, პიონერთა ღღე. ხვალ თქვენ იქნებით ბანაკის ხელმძღვანელები, ჩვენ კი რიგითი პიონერები. ხვალინ-დღელი დღე ჩვენი გამოცდის დღეა. შევამოწმებთ თუ რა გასწავლეთ და როგორ ისწავლეთ. — თქვა ქარისანიძემ და სია წაიკითხა.

ნაზ. შ. ცხადაძისა

— ხვალ 18 აგვისტოს დილის ექვსი საათიდან საღამოს ოც საათამდე ბანაკის ხელმძღვანელები და მოსამსახური პირები არიან: 1. პიონერი ეორა გახამსჯიანი — ბანაკის უფროსი, 2. ბანაკის უფროსი პედაგოგი — ნონა ფხავაძე, 3. ექიმი — ჩოხაძე მამილი ცეზარი, 4. ექიმის თანაშემწევი — ლიზა სოლოვიოვა, 5. უფროსი პიონერსელმძღვანელი — გურამ ბეჟანიშვილი, 6. დამსახურისი — მაყვალა ყავრელაშვილი, 7. სამნეო ნაწილის უფროსი — ოთარ კვაჭავა, 8. შზარეული — აკაკი კუზეიშვილი, 9. ფიზკულტურის ხელმძღვანელი — ელგუჯა კოლუაშვილი. იმედი მაქეს, ბრწყინვალედ შეასრულებთ თქვენზე დაისრულებულ მოვალეობას.

— მზად ვართ! — იყო საერთო პასუხი.

ხაზი დაიშალა. ურიამულმა ააქო მწვანე უბანი. ხელინდელი ხელმძღვანელები გამოცხადებენ დღევანდელ ნამდგინ ხელმძღვანელებთან. ეორას ბანაკის უფროსი აძლევს რჩევა-დარიგებას. უფროსი პედაგოგი თათარ წერელოვი ესაუბრება ნონა ფხავაძეს. ექიმი ნინო დევიძე ხვალინ-დელ „ექიმთან“ ცეზარ ჩოხაძე მითან არის. მიხეილ ბურდული გურამ ბეჟანიშვილს განუმარტავს თავის მოვალეობას. ოთარ თოლორაია სამნეო ნაწილის უფროსს, 11 წლის პიონერ თათარ კუჭავას ესაუბრება. აკაკი კუზეიშვილი, რომელმაც ხვალ გამამისი იღია უნდა შესცვალოს, ეუბნება მამას, — მამი, დღეს მითხარი კველაფერი, რომ ხვალ შენი დახმარების გარეშე კარგი საღილი გავაკეთო.

— უურადღებით თუ იქნები, არ შერცხვები და არც შემარტვენ. — უთხრა იღიამ და სამზარეულოსავენ წაიყვანა ხვალინ-დღელი „მზარეული“, ყველაზე დაძაბულ მდგომარეობაშის ელგუჯა კოლუაშვილი.

ხვალ მან ტატიშვილტურის ხელმძღვანელდა უნდა შესცვალოს, და მერე იცით კინ არის ბანაკის ფიზიულტურის ხელმძღვანელი?! — ილია ტატიშვილი, საბჭოთა ქავშირის გმირი, მეერდს რომ ოქროს ვარსკვლავი და 5 ორდენი უშმვენებს, მათ შორის ორი ლენინის ორდენია. და აი ხვალ ელგუჯას ეყოლება პიონერი ილია ტატიშვილი წითელი ყელსა ხევით, ელგუჯამ უნდა უხელმძღვანელოს.

რამდენი სიხარული მოაქვს ხვალინ დღეს!

## II

აი, გათენდა თვრამეტი აგვისტოს დილა. მისცეს გაღვიძების ნიშანი. ყველანი ილვა-ძებენ მხოლოდ არ დგებიან. „ექიმშა, ჩოჩი-აშვილმა და „ექიმის თანაშემწევში“ სოლოვი-ოვშა დეზინტერიის საჭინააღმდეგო აბები ჩამოარიგეს. ისინი თეორ სალათებში გამო-წყობილან ისე, როგორც მედიცინის მსა-ხურთ შეეფერება. პირველად აბები მიიღეს, გუშინდელმა ექიმშა—დღევანდელმა პიონერ მა ნინო დევიძემ და ექიმის თანაშემწევში გომუაშვილმა, შემდეგ სილბისტრო ქართ-სანიძესა და ილია ტატიშვილს გაუმასპინ-ძლდნენ. აյ ხუმრობას ადგილი არა აქვს, მთელი სერიოზულობით დაიწყო ეს დღე.

მისცეს დილის ვარჯიშის ნიშანი. ეს საათი პიონერთა საყვარელი დროა, მით უმეტეს ვარჯიშს ხელმძღვანელობს საბჭო-თა ქავშირის გმირი ილია ტატიშვილი, მაგ-რამ ეგ რა არის, ილია ტატიშვილი მწყობ-რში ჩამდგარა და დილის ვარჯიშს ელგუჯა კოლუაშვილი ატარებს, მწყობრში დგანან უფროსი ამხანაგები და ემთარჩილებიან დღევანდელ ბანაკის უფროსის. სამზარეულოში აკაკი ამზადებს საუზმეს, თოარმა გააღო საჭყობი და მოთხოვნილების თანახმად გასცა საჭირო სანოვაებს, დღევანდელ დოკუ-მენტებს ქართსანიძე კი არა, ერთა მახრა-მაჯიანი აწერს ხელს. და ეს ყველაფერი თამაში კი არ არის, არამედ ნამდგილი ამ-ბავია პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე.

ოთარ კვაჭავა კოლმეურნეობის თავმჯე-დომარესთან გამოცხადდა. კოლმეურნეობის თავმჯელომარემ საეჭვოდ ახელდახედა პატა-რა თთარის. ეგ კინ არისო, 11 წლის ბიჭი ამდენი თანხის საქონელს როგორ მიიღებსო. მაგრამ მოსტყუვდა, ოთარმა ყოველი დო-კუმენტი ზუსტად გააფორმა და საქონელი მიიღო..

პირველი რაზმის მესამე რეოლის პიონერს ფეხი ეტკინა, ქვას წაჭრა, კოჭი გაუსივდა. „ექიმშა“ ჩოჩიაშვილმა გასინჯა და „ექიმის თანაშემწევში“ ლიზა სოლოვითის განკარგუ-ლება მისცა: — სპირტით დაუზილეთ და შე-უხვიეთო. ლიზა პირზათლად ასრულებს და

კალებას. რამდენი სამუშაო აქვთ ერთობენ და მის „თანაშემწევს!“

ეყავი „მზარეული“ საღილის პირების მიზა-დებს კერძებს, პირველი ბირში, მეორე ბრინჯაის ფაფა, მესამე ხილეული. აკაკისაც ყავს თანაშემწევები. საღილი უკვე მზად არის. აცნობეს „ექიმს“ „ექიმი“ და მისი „თანაშემწევ“ ამოშებენ კერძებს და მოახ-სენებენ ბანაკის უფროსს, რომ კერძები ხარისხიანი და შეიძლება გაცემა. მისცეს ნიშანი, ხელპარდაბანილი პიონერები სუფ-თა მაგიდებს მოუსხდონენ.

— როგორ მოგწონს კერძი? — ვეკათხები ერთ-ერთ პიონერს.

— კარგია. ძალიან გემრიელი, — ამბობს პიონერი გურამ ქარისანიძე.

— როგორ, სხვა დროს ცუდ კერძს აკ-თებენ?

— არა, ჩვენს ბანაკში, საერთოდ, კერძი ელი საჭმელები მზადდება, მაგრამ დღეს განსაკუთრებით გემრიელია. ჩვენი თანატო-ლის მომზადებულია.

გასაგებია, ყველას თავისი მოსწონენ.

საღილი გათავდა, დასვენების საათია. ამ დროს ბანაკში მოძრაობა ან ხმაური არ შეიძლება. მე პიონერთა ოთახში ვზიგარ და შთაბეჭდილებებს ვიწერ. ბანაკის უფროსშია ორი წესრიგის დამრღვევი ჩამოიყვანა დაბ-ლა.

— ესენი ვინ არიან? — ვეკითხები მე.

— შინაგანაწევსის დამრღვევნი. დასვენე-ბის დროს იმის მაგივრად, რომ დაწოლილი-ყვნენ და დაესვენათ, სხვის ლოგინზე დამ-სხდარიყვნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

— ჩვენ დღევანდელ დღეზე ვმსჯელობ-დით. — წამოიძახა ერთმა მათგანმა.

— თქვენ ორმაგად დაარღვეით წესრიგი, ერთი, რომ ხმამაღლა ლაპარაკობდით, მე-ორე, კიდევ სხვის ლოგინზე იჯერეთ. ამის გამო თქვენ დასჯილი ხართ. ორთავენი დადგებით კუთხეში პირით კედლისაკენ.

— რისთვის? მოიცა, სულ შენ ხომ არ იქ-ნები ბანაკის უფროსს!

— ხვალ შენ იქნები და, თუ რამე დაფა-შავე, დამსჯევე. ახლა შესწყვიტეთ ლაპარაკი და ისმინეთ ჩემი ბრძანება, კუთხეებში პი-რით კედლისკენ, იარ!

ორთავენი კუთხეში დადგნენ. ზრდანების სად წაუხვალ!

— სანამდე უნდა იღგნენ ასე? — შევე-კითხე ბანაკის „უფროსს“. თუმცა შეიძლება უფროსი ბრძების გარეშე ვახსენოთ, რადგან მე აქ ნამდვილ უფროსს ვხედავდი.

— მანამდე, სანამ ბოდიშს არ მოიხდიან



და პიონერულ სიტყვას არ მომცემენ, რომ  
ასეთ რამეს არ გამოეორებენ.

— როგორ, ბოლიში არ მოუწდიათ?

— არა, ხომ მოგეხსენებათ, აღელვებუ-  
ლი არიან.

ეს ისეთი ტონით მითხრა უორამ, რომ  
ჩემს წინ გამოცდილი უფროსი იყვა.

სუთი თუ ათი წუთის შემდეგ დამნაშავე-  
ებმა ბოლიში მოიხადეს, პიონერული სიტყვა  
მისცეს უფროსს, რის შემდეგ ისინი გან-  
თავისუფლებულ იქნენ.

### III

დასვენების საათი გათავდა. კაცების ხის  
ჩრდილში შეკრებილან პიონერები. აქორ-  
დეონს უკრავს ერთი მათგანი. დანარჩენები  
ღერან. ცეზარ თოფეჩიშვილი საჭუთარ  
ლექსის უკითხავს ამხანაგებს. აგრე დრამ-  
წრე ამზადებს პიესას, აქვე როლს იზეპირებს  
გივი გუგუშვილი... მაგრამ ყოველივე ეს  
შეწყდა, როდესაც მათუენ მომავალი, პიო-  
ნერის ყელსახვევიანი ილია ტატიშვილი და-  
ინახეს, საბჭოთა კაქტირის გმირი, გვარდიის  
კაპიტანი, ტანკისტი ილია ტატიშვილი. შეს  
თვით „ბანაჯის უფროსმა“ უორამ დაუთმო  
ადგილი.

— მობრძანდით, ამხანავო პიონერო. დაბ-  
რძანდით.

ილია ბავშვებს შორის ჩაჯდა. მის გარშე-  
მო შეჯგუფდა მთელი ბანაფა. ყველას ერთი  
სურვილი აქვს, მოუსმინონ გმირს.

— გთხოვთ, მოგვიყევთ ბრძოლებზე, სა-  
დაც თქვენ ასახელეთ ჩენი სამობლო. —  
სთხოვს ქერათმიანი ნაზიკო ცირეკიძე.

— გთხოვთ, გთხოვთ! — გაისმა აქეთ-  
იქიდან.

ილიას თვალები გაუცისკროვნდა, თავისი  
ბუთხუჭა ელდარი მუხლზე დაისვა და მოემ-  
ზადა. სიჩუმე ჩამოვარდა, ვეება კაცლის ხე-  
მაც კი შესწყვიტა შრიალი, თითქოს მასაც  
სურს მოუსმინოს გმირს, რომელმაც ისსნა  
მისი ლალი ტატები დალეწვისაგან.

პიონერები უსმენენ საბჭოთა კავშირის  
გმირს, გვარდიის კაპიტანს, ტანკისტს, ილია  
პლატონის-ძე ტატიშვილს. ჰყვება ილია,  
ვინ იცის მერამდენჯერ, დაუგიწყარ ცაზო-  
დებს სამამულო ომის დროიდან, რომელიც  
მას გადახდა და რისთვისაც საბჭოთა კავ-  
შირის გმირის წოდება მიანიჭეს.

### IV

ილია თხრობა დამთავრა და ფიქრებშა  
გაიტაცეს. ამ დროს პაპიროსი ამოილო და  
გააბოლა. დაავიწყდა, რომ ის დღეს „პიო-  
ნერი“ იყო. მაგრამ ეს არ დავიწყებია უო-  
რას; როგორც კი აბოლებული პაპიროსი და-  
ინახა, ადგა და მთასენა:

— ამხანავო პიონერო, ჩაექრეთ პაპიროსი  
პიონერები პაპიროსს არ ეწევიან.

ილია უცებ ვერ გამოეცვა.


— ჩაექრეთ პაპიროსი, თორემ დაგსჯით.

